

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერჯია“-ს შორის 2011 წლის 17 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

2 მაისი, 2013 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის კახა კალაძის სახით;

მეორეს მხრივ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ირინა მილორავეას სახით;

და მესამეს მხრივ, შპს „ენერჯია“ - საიდენტიფიკაციო კოდი: 401950037 (შემდგომში წოდებული, როგორც: „კომპანია“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გაიოზ უგრელიძის სახით.

საქართველოს მთავრობას, შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერჯია“-ს შორის 2011 წლის 17 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით (შემდგომში: „მემორანდუმი“) გათვალისწინებულია 19 მგვტ. ჰიდროელექტროსადგური „ლარსი ჰესი“-ს მშენებლობა, რომლისთვისაც კომპანიას თავდაპირველად წარმოდგენილი ქონდა 3 400 000.00 აშშ დოლარის ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც ამავე მხარეთა შორის შეთანხმებით 2012 წლის 11 მაისს შემცირდა 2 034 600.00 აშშ დოლარამდე, ხოლო 2012 წლის 21 დეკემბრის შეთანხმებით შემცირდა 1 430 000.00 აშშ დოლარამდე.

2013 წლის 18 მარტს შპს „ენერჯია“-მ წერილობით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და „სახელმწიფო პროგრამა „განახლებული ენერჯია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერჯის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის, N107 დადგენილების 7¹ პუნქტის შესაბამისად ითხოვა საბანკო გარანტიის ოდენობის შემცირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ენერჯია“ დღეის მდგომარეობით ასრულებს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს, რაზედაც კომპანიის მიერ წარმოდგენილია ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ (აუდიტორული დასკვნა), შესაბამისად მხარეები შეთანხმდნენ, კომპანიის მიერ წარმოდგენილი 1 430 000.00

აშშ დოლარის ოდენობის საბანკო გარანტია, შემცირდეს განხორციელებული ინვესტიციის პროპორციულად და განისაზღვროს 575 000.00 აშშ დოლარის ოდენობით.

1. შეიცვალოს მემორანდუმის 3.6 პუნქტის პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.6 კომპანიის მიერ ობიექტის შწენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების უზრუნველსაყოფად, მთავრობაზე გადაცემულია საბანკო გარანტია 575 000.00 (ხუთას სამოცდათხუთმეტი ათასი აშშ დოლარი და 00 ცენტი) აშშ დოლარის ოდენობით (ასლი თან ერთვის).“.

2. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან 14 დღის ვადაში, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს გარანტიის გამცემი სს „თიბისი ბანკი“-სათვის წერილობითი მოთხოვნის გაგზავნას კომპანიის მიერ წარმოდგენილი N2166469-2128078 საბანკო გარანტით გათვალისწინებული თანხის (1 430 000.00 აშშ დოლარი) 575 000.00 აშშ დოლარამდე შემცირების თაობაზე;
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მემორანდუმის მოქმედების პერიოდზე (ვადაზე);
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს;
5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 3 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.
6. მხარეთა ხელმოწერები:


საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე



სს „ელექტროენერგეტიკული სისტემების ვაჭრობის ოპერატორი“

ირინა მილორავა



შპს „ენერჯია“

გაიოზ უგრელიძე

